ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3463146

ნომერი: AR1529618

თარიღი : 03.08.2017

გაცემის თარიღი : 10.08.2017

გაცნობის თარიღი : 10.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , N 34 , (ნაკვეთი N1/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ მეგრელიშვილი პ/ნ 01022008464
- გერგეთის შეს. #3, #1ა

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1675142
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.01.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში

განხილული იქნა მოქ. თემურ მეგრელიშვილის 03/08/2017 წლის № AR1529618, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, მაყაშვილის ქ. N34–ში(ნაკვეთი N1/37) საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.01.2015 წლის № №1675142 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მაყაშვილის ქ. N34–ში (ნაკვეთი N1/37), შ.პ.ს. "ბეტსი"–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული სასტუმროს რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაში იყო 2017 წლის 01 იანვრის ჩათვლით;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. N34–ში(ნაკვეთი N1/37) სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2017 წლის 04 ივლისის №ბ-19/01170942332-17 ბრძანებით მოქ. თ. მეგრელიშვილს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგემარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.